



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

16. 02. 2013 წელი

15/2

----- ქ. თბილისი № -----

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის, ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვისა და კინო-ტელე ვაკულტეტებზე კონკურსის საფუძველზე აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე, 34-ე, 35-ე და 36-ე მუხლების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2012 წლის 16 აგვისტოს № 03/34 ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-10 და 33-ე მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე დანიშნულ იქნა აკადემიურ თანამდებობაზე 2013 წლის 16 თებერვლიდან, გაუფორმდეთ შრომითი ხელშეკრულებები 6 წლის ვადით:

დრამის ფაკულტეტი
მსახიობის ხელოვნების მიმართულება
სრული პროფესორის თანამდებობაზე:
1. გიორგი შალუტაშვილი

ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმართულება
სრული პროფესორის თანამდებობაზე:
1. უჩა დვალაშვილი

სამუსიკო ხელოვნების მიმართულება
სრული პროფესორის თანამდებობაზე:
1. ბადრი თოიძე
2. გომარ სიხარულიძე

კინო - ტელე ფაკულტეტი
მხატვრული კინოს რეჟისორის მიმართულება
სრული პროფესორის თანამდებობაზე:
1. დავით ჯანელიძე
2. რამაზ ხოტივარი

კინო - ტელე ოპერატორის მიმართულება
სრული პროფესორის თანამდებობაზე:
1. გიორგი გერსამია



ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი
სათეატრო კრიტიკისა და თეორიის მიმართულება
სრული პროფესორის თანამდებობაზე:
1. მიხეილ კალანდარიშვილი

კულტურული ტურიზმის მენეჯერის მიმართულება
სრული პროფესორის თანამდებობაზე:
1. მალხაზ ღვინჯილია

§ 2.

დანიშნულ იქნა აკადემიურ თანამდებობაზე 2013 წლის 16 თებერვლიდან, გაუფორმდეთ შრომითი ხელშეკრულებები 4 წლის ვადით:

დრამის ფაკულტეტი

დრამისა და კინოს მსახიობის მიმართულება
ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
1. გიორგი თოდაძე
2. ნინო ლიპარტიანი
3. სოსო ნემსაძე
4. მანანა კვიციანი
5. ანდრო ენუქიძე
6. დავით ანდლულაძე

მუსიკალური თეატრის მსახიობის მიმართულება
ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
1. მაია გაჩეჩილაძე

რეჟისორის ხელფანების მიმართულება
ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
1. ლევან წულაძე

ქორეოგრაფიული ხელფანების მიმართულება
ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
1. ბიჭიკო ყურაშვილი
2. ეკატერინე გელაშვილი
3. ია ლორთქიფანიძე
4. ნუგზარ ჯიქური

სამუსიკო ხელფანების მიმართულება
ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
1. მაია მიქაბერიძე
2. ნინო სიხარულიძე

კინო – ტელე ფაკულტეტი

კინო - ტელე ოპერატორის მიმართულება
ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
1. მიხეილ მაღალაშვილი

ანიმაციური კინოს რეჟისორის მიმართულება
ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
1. თეიმურაზ სიხარულიძე
2. ვლადიმერ სულაქველიძე

დოკუმენტური კინოს რეჟისორის მიმართულება
ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
1. ვაჟა ზუბაშვილი

ტელერეჟისორის მიმართულება
ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
1. ოთარ ლითანიშვილი

მედიაკომუნიკატორის მიმართულება
ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
1. მანანა ბერიკაშვილი

ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი

სათეატრო კრიტიკისა და თეორიის მიმართულება
ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
1. თამარ ცაგარელი

ქართული თეატრის ისტორიის მიმართულება
ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
1. მაია კიკნაძე

მსოფლიო თეატრის ისტორიის მიმართულება
ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
1. მაია გოშაძე

მსოფლიო კინოს ისტორიის მიმართულება
ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:
1. თეო ხატიაშვილი
2. ირინა დემეტრაძე

ხელფენებამცოდნეობის მიმართულება
ასოცირებული პროფესორის
თანამდებობაზე:

1. ეკატერინე კიკნაძე

ქორეოლოგიის მიმართულება
ასოცირებული პროფესორის
თანამდებობაზე:

1. ანა სამსონაძე

ხელფენების მენეჯერის მიმართულება
ასოცირებული პროფესორის
თანამდებობაზე:

1. ნინო სანაძირაძე

§ 3.

დანიშნულ იქნა აკადემიურ თანამდებობაზე
2013 წლის 16 თებერვლიდან, გაუფორმდეთ
შრომითი ხელშეკრულებები 2 წლის ვადით:

დრამის ფაკულტეტი

მსახიობის ხელფენების მიმართულება
ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე:

- 1. თინათინ კორძაძე**
- 2. ნანა ხუსკივაძე**

რეჟისორის ხელფენების მიმართულება
ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე:

1. გიორგი ქანთარია

ქორეოგრაფიული ხელფენების
მიმართულება
ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე:

- 1. თამარ გუგუშიძე**
- 2. ლევან აღიაშვილი**

სამუსიკო მიმართულება
ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე:

1. ბადრი ტულუში

კინო – ტელე ფაკულტეტი

მხატვრული კინოს რეჟისორის
მიმართულება
ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე:

- 1. გიორგი ხარებავა**
- 2. ზაქარია ჯორჯაძე**

კინო - ტელე ოპერატორის მიმართულება
ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე:

1. ლევან მახარაძე

1. პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობაზე გადაყვანის შედეგები გამოცხადდეს საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, დაიბეჭდოს უნივერსიტეტის გაზეთში და განთავსდეს თვალსაჩინო ადგილებზე უნივერსიტეტის შენობაში.
2. აკადემიურ თანამდებობაზე გადაყვანილ სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორებთან შეწყდეს მიმდინარე შრომითი ხელშეკრულება და გაფორმდეს კონტრაქტები შრომის კოლექსით გათვალისწინებული წესით.
3. შრომითი კონტრაქტების გაფორმებაზე პასუხისმგებლობა დაევალოს საორგანიზაციო სამსახურს და უნივერსიტეტის იურისტს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. № 6.

საფუძველი:

2013 წლის 13 თებერვლის საკონკურსო
კომისიის სხდომის ოქმი № 1.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ბიორბი მარბველაშვილი



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის №7

დადგენილება

ქ. თბილისი, 16.02.2013

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე გამოცხადებული კონკურსის: ქართული თეატრის კვლევის ცენტრისა და ქართული კინოს კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №1 საფუძველზე აკადემიური საბჭო ადგენს:

ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულება გაუფორმდეთ (1 წლის ვადით) შემდეგ მეცნიერ-თანამშრომლებს:

1. ნოდარ გურაბანიძეს;
2. ლამარა ღონდაძეს;
3. თამარ ქუთათელაძეს;

ქართული კინოს კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულება გაუფორმდეთ (1 წლის ვადით) შემდეგ მეცნიერ-თანამშრომლებს:

1. ლია კალანდარიშვილის;
2. მაია ლევანიძეს;
3. მანანა ლეკბორაშვილის;

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
ბიორბი მარბგველაშვილი

ლარს ფონ ტრიერი

არაორდინალური, ემოციური, გამორჩეული, სკანდალური, ორიგინალური ხელწერის მქონე – ამგვარად ახასიათებენ დანიელ რეჟისორს ლარს ფონ ტრიერს.

კომუნისტი ნუდისტების ოჯახში გაზრდილი ებრაული წარმოშობის ტრიერი ათეისტია. გადაღება ტრიერმა 11 წლისამ სცადა, როცა ვიდუო კამერა აჩუქეს. 1979 წელს დანიურ კინოსკოლაში შევიდა და აქედან დაიწყო მისი კინოში მუშაობის პირველი ეტაპი. 1995 წელს, დედის სიკვდილის შემდეგ, ტრიერი აფუძნებს ჯგუფს „ლოგმა 95“. იმავე პერიოდში იგებს, რომ მისი აღმზრდელი მამა სინამდვილეში არ არის ბიოლოგიური მამა. ამის შემდეგ ის თავის ფილმებში აქცენტებს აკეთებს

ისეთ თემებზე როგორებიცაა: სიმართლე და გულწრფელობა.

„ლოგმა 95“-ის მოთხოვნების შესაბამისად ტრიერმა გადაიღო ფილმები: „გააპე ტაღლები“ და „იდიოტები“, ლოგმის წევრ რეჟისორებს უნდა დაეცვათ ათი პუნქტი, რომელიც ერთობლივად შეიმუშავეს და გადაეღოთ მაქსიმალურად ნატურალური კადრები – ხელის კამერით, ბუნებრივი შუქითა და ჟანრის უგულვებლყოფით. ამ პუნქტების დაცვა ბოლომდევერცერთმამათგანმავერ შეძლო. მაგრამ ტრიერმა და თომას ვიტენბერგმა მათი ნაწილობრივ გათვალისწინება მოახერხეს. ვიტენბერგმა ეს საკმაოდ კარგად შეძლო ფილმ „დღესასწაულის“

შემთხვევაში, სადაც გამოიკვეთა ნატურალიზმი ბუნებრივი შუქით, ხელის კამერით, დოკუმენტური მანერით. თუმცა, იყო დოგმის წესებში გაუთვალისწინებელი აშკარა ცდომილებაც – კადრი, სადაც მინიდან ჩანს გარეთ არსებული ბუნების ხედი. **„დოგმის“** პრინციპების საუკეთესო ნიმუშია **„ილიოტები“**, აქ სულიერად ავადმყოფი ადამიანების ყოფა სრულიად სხვა ჭრილშია ასახული. მათი თანაარსებობა ნორმალური ადამიანების გვერდით, უკანასკნელთათვის ბედნიერების სხვაგვარი გააზრების საფუძველი ხდება. „გიჟის“ ყოფით ცხოვრება მათთვის ბედნიერების შეგრძნების უფრო დიდი საშუალებაა. ერთი ნორმალური ფსიქიკის მქონე პერსონაჟი ამბობს კიდევ: „არასოდეს ვყოფილვარ ისეთი ბედნიერი, როგორც გიჟად ყოფნისას“.

2003 წელს ტრიერი იღებს ფილმს **„დოგვილი“** – ნიკოლ კიდმანის მონაწილეობით. 2009 წელს კი გამოვიდა გახმაურებული ფილმი **„ანტიქრისტე“**, სადაც ტრიერისათვის დამახასიათებელი ხელწერითაა გაკეთებული თითოეული დეტალი. აქაც, როგორც შემდგომ **„მელანქოლიაში“**, იკვეთება რეჟისორის ფოტოგრაფიისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. ფილმში ვხვდებით კადრების მონუმენტურ გადაწყვეტას ფოტოგრაფიული ეფექტით კინემატოგრაფიულ განზომილებაში. **„დოგმის“** მოთხოვნები: მოძრაობა, ბუნებრიობა უგულებელყოფილია და ჩნდება სრულიად სხვა ილუზორული, თუ ზერეალური განზომილება ფოტოგრაფიული კადრების მონუმენტურობა ლოგიკურად ერთვის კინემატოგრაფიულ კადრებს, მიუხედავად კინოს მთავარი ნორმის – მოძრაობის მოთხოვნილებისა, აქ იჭრება სრული სტატიკურობა. **„ანტიქრისტეში“** მოთხოვნილია წყვილის ისტორია შვილის გარდაცვალების შემდეგ. ბავშვის სიკვდილის მიზეზი მის მიერ დანახული მშობლების სექსუალური ურთიერთობაა. ბავშვი ძალადობის გამოვლინებას ხედავს ამ აქტში და ფანჯრიდან გადახტომით პასუხობს. ეს სტატიკური, უმოძრაო

კადრები ემოციური მუსიკის ფონზე მძაფრ შეგრძნებას იწვევს მაყურებელში. გმირის ემოციური, სულიერი მდგომარეობა კი აგრესიული ფსიქიკური განწყობის შემომტანია. შარლოტა გინსბურგის პერსონაჟი ეშმაკით შეპყრობილ გმირად გვევლინება, რომელსაც ტრავმის გამო ცხოვრება თავდაყირა უდგება. ქმარს ის „რეაბილიტაციის“ მიზნით მიჰყავს ტყეში. ქალს პანიკურად ეშინია. ფილმი დახუნძლულია სექსუალური კადრებით, რაც განპირობებულია გმირის შინაგანი მდგომარეობით. ის ხდება „გიჟი“, შეპყრობილი, შეშინებული ადამიანი, რომელსაც არაფერი შეგელის და არც საყვარელი ადამიანის დახმარებას იღებს. პირიქით, აგრესიით პასუხობს. წამების მიზნით კაცს რკინის იარაღს უყრის ფეხში, მასზე ფიზიკურ ზეწოლას ახდენს. ქალი შეშლილს ემსგავსება და ამბობს რომ ვიღაც უნდა მოკვდეს. ფილმის სივრცეში ორი შრე იკვეთება – ორი ადამიანი, კეთილი და ბოროტი. წესისამებრ იმარჯვებს კეთილი. გაგიჟებული, შეშლილი გინსბურგის გმირი ქმრის მოკვლას აპირებს. ქმარი სძლევს მას... ახრჩობს ქალს და მასთან ერთად, მასში ჩაბუდებულ დემონს. ფილმში ხშირად გაიჟღერებს სამების თემა, სამი მათხოვრის, სამი ცხოველის სახით. გმირი შეპყრობილია ეშმაკით და წინააღმდეგია 3 მათხოვრის. ფილმში შექმნილი ატმოსფეროდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს წმინდა სამების სიმბოლური კოდია. ტრიარისათვის დამახასიათებელი ნიშანი – ფილმის თავებად დაყოფის ხერხი, აქაც საინტერესოდ ვითარდება. ყოველი თავის სახელწოდება, ამ მონაკვეთში მოთხრობილი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან განცდაა. მაგალითად: ტკივილი, გენოციდი, 3 მათხოვარი. გამორჩეულია შავ-თეთრი ფერით შეფერილი პროლოგიც, რომელიც თანდათან ფერადდება. მუქ ტონალობაში, სწორედ გმირთა ცხოვრების, უბედურების ეტაპია მოცემული, რომელიც დაღის სახით გასდევს ფილმს მათი ცხოვრების დასასრულამდე. აღსანიშნავია, ფილმში ფსიქოანალიზის ავტორის ფროიდის

ხსენება სიზმრებთან კავშირში. მაყურებლის აღქმაში ფროიდთან ასოცირდება ფილმის რეალობისგან აცდენილი „არაჩვეულებრივი რეალობის“ ეპიზოდები. ფილმში შიშველი ადამიანების სიმრავლე ხესთან, გინსბურგის გმირის გვერდით, შეიძლება ტრიერის ნუდისტური ოჯახის გაგვლენად მივიჩნიოთ, ისევე, როგორც, გმირის ათვისტური განწყობა.

ტრიერი რეჟისორია, რომლის შემოქმედებაც არასდროს ექვემდებარება ბოლომდე ახსნას და უამრავ მოსაზრებას, გაგებას, აღქმას ბადებს. ეს ეხება, როგორც პერსონაჟებს, ასევე ფილმის აგების ხერხებს. ერთი რამ კი უდავოა – მისი ხელწერა. ტრიერის ბოლოდროინდელი ფილმების აგებულება და სტრუქტურა მსგავსია.



2011წელს გადაღებულ „მელანქოლიაში“ რეჟისორი ქვესათაურების თემას ისევ იმეორებს და ფილმს ორ განსხვავებულ ნაწილად ჰყოფს. ეს გასაგებიცაა, მეორე ნაწილში ხდება გმირების სრული ტრანსფორმაცია. კირსტენ დანტის გმირი, დის გავლენით, თავისსავე ქორწილში აცნობიერებს ცხოვრების უაზრობას და იცვლება შინაგანად. ფილმის დასაწყისში, ფოტოგრაფიულ უძრავ კადრებში, ცხადდება გმირის ტრაგიკული

მომავალი. ფილმში მეტაფორები უხვადაა. მაგალითად: გმირი საქორწილო კაბაში, ჯაჭვით შებოჭილი, თითქოს ცხოვრების მძიმე ტვირთს მიათრევს, ეფლობა მიწაში – ეს კი ადამიანური ყოფის უაზრობის საბოლოო აკორდია, მიწასთან მიახლოებაა, გარდაცვალებაა. სამყაროს დასასრულისა, თუ პლანეტების გაერთიანების თემა ჯასტინისა და კლერის, კორიდის ცხოვრების წარმოდგენების შეცვლის მიზეზი ხდება. ჯასტინი ფილმის დასაწყისში რუტინული ყოფის მსხვერპლად წარმოჩნდება. იგი იძულებულია ცხოვრების უაზრობას შეეგუოს, ცდილობს იცხოვროს სხვების მსგავსად. საქორწინო წვეულება ხდება გამოფხიზლების, თვალის ახელის მიზეზი. თუნდაც ზღაპრებში, როგორც წესი, ამბავი ქორწილით მთავრდება. ფილმში რეალურობის მძაფრი შეგრძნება გამოხატულია შემდეგი დეტალით – ამბავი ქორწილით იწყება. აქ ქორწილი დასასრულის დასაწყისია. სამყაროს დასასრული კი ფილმის ლაიტმოტივია. მელანქოლიით მოცული გმირები ფილმის კულმინაციურ მომენტში მრგვალ წრეში ექცევიან – ორი და და დის შვილი. ამ ფილმშიც, რეჟისორი სამყაროსა და სამყაროში არსებობის თემას ეხება. ამიტომაც არ არის შემთხვევითი სამების სიმბოლოს შემოტანა. დასასრულს ჩვენ ვხედავთ განადგურებას, გაურკვეველ გაგრძელებას არსებობისა, რომელიც შესაძლოა არ არსებობაში გადაზრდილიყო. ეს უკვე მაყურებლის ფანტაზიაზე მინდობილი, თუ როგორ აღიქვამს ფილმის კულმინაციას – სამყაროს დასასრულად თუ (პლანეტების) გამოთლიანებად.

კანში პერსონა „ნონ-გრატად“ გამოცხადებული ტრიერი სშირად ყოფილა ამ ფესტივალის ნომინანტი. ფილმისათვის „დოგვილი“ გრან-პრი აქვს მიღებული. 2011 წელს კი, კირსტენ დანტს „მელანქოლიაში“ ქალის მთავარი როლის შესრულებისათვის, მიენიჭა ოქროს პალმის რტო. წარმატებული ფილმებით ტრიერი ისევ რჩება „გიჟ“, ორიგინალურ, ექსტრავაგანტულ, შეუცნობელ, ემოციურ და ძალიან საინტერესო რეჟისორად.

მარი მსხალაძე

სყდენსური სექსი

ურითმო წამი

ამეკვიატა ლექსი რომ ვწერო,
ხასიათი მაქვს რაღაც უჟმური
მინდა ოცნება ფეხქვეშ რომ ვთელი
ახლა მე მესმის მხოლოდ მუნჯური.

ისე გამყინა ფიქრებმა კადრში,
როგორც ყინვის დროს წყალში ფოთოლი,
ისე დავდივარ, როგორც ნადირი
და მგლის დამჩემდა ნელი ძუნძული.

ტვინში გამიწყდა თვეა მუხები,
თითქოს ონკანში წყალი გათავდა,
დაობლდა ჩემი თეთრი ფურცლები,
ჩემგან რომ მუდამ ლექსს მოელოდა.

დავდივარ ახლა როგორც ნადირი,
უჟმური ჩემი ფიქრების კვალზე,
აუტანელი როგორც ეს ლექსი
გაცოფებული ურითმო წამზე.

* * *

რაღაც გრძნობით დავიარე,
ჩემში ყველა კუნჭული,
მანსოვს გულთან ჩავიარე
და მომესმა ჩურჩული.
სისხლი იყო, ლამის დულდა
და ჩაკრულოს მღეროდა,
ფილტვები კი ისე დუმდა
ჰაერს არც კი ელოდა.
ღვიძლი ყარდა გაჟღენთილა,
ალბათ ლუდის ბრალია,
ბავშობაში ორი მყავდა
მძულდა ანატომია,
მერე ძარღვებს გავუყევი
და მაჯამდის გავედი,
გზა რომ ველარ გავაგრძელე
ისევ გულთან ავედი,
გულის კარი გამოვადე
და სისხლივით შევედი,
ყველა გრძნობას მივესალმე

და სიღრმისკენ წავედი.
მივიხედე, მოვიხედე
თავი სახლში მეგონა,
ყველაფერი ერთად იყო
და თან ყველა მელოდა.
ერთმა ძველმა სიყვარულმა
იცით უცებ რა მითხრა?!
ბნელ კუთხეში რატომ გყავარ,
აქ, ძვირფასო, რა მინდა?!
ოცნებებმაც რიდით მკითხა,
დღის სინათლეს ვიხილავეთ?!
მე ვუთხარი ამიხდებით
აფხაზეთსაც ვიხილავთ.
დარდი გრძნობებს ამცირებდა
სხვებს არაფრად არ თვლიდა,
ერთი მკაცრად შემომხედა
ეს მითხრა და წავიდა...
იცოდე, რომ არ მეყოფი
მე კი ცოდვა არ მინდა.
შენ ხარ ჩემი შემოქმედი,
ახლა ჩემგან რა გინდა?!
იქვე იდგა სიყვარული
ჩემი გულის კარნახი
სურვილები ჩუმად თქმული,
სევდა როგორც ტალახი.
მოკლედ ჩემში ერთად იყო,
რაც კი ჩემს თავს მომხდარა,
სიყვარული რომ ჭარბობდა
დარდი დარდით მომკვდარა,
სისხლი ისევ ისე დულდა,
გრძნობები კი ლაყობდა
ჩემ გულში რა აღარ მოხდა,
ერთი იყო არ თოვდა.
გულის კარზე კაკუნია
მორზეს ანბანს ვამგვანე,
ტვინი იყო და გულს უთხრა,
კარგი უკვე დამღალე.

A. D. E.



* * *

მეც იმას ვიტყვი რაც უკვე თქმულა
გაგვიგონია ბევრჯერ სხვებისგან,
მეც ჟრუანტელი დამივლის ტანში
როცა მაკოცებ ალბათ ვნებისგან.

მეც შევეცდები ვნება გაჩუქო
დაგაკარგვინო ეს დედამიწა,
შენთვის შევცოდო არ დავიჩოქო
ჯანდაბას თუკი ღმერთი გამიწყრა.

მანც იმედით შევხედავ ზეცას,
მანც იმ ვნებით დაგელოდები
და როგორც ერთი ჯიუტი კაცი
მე მაგ ვნებისთვის შეგეწირები.

მიყვარდეს ვფიქრობ, არ ვიცი არა.
თუ შევიძულო ცოდვების კერა?!
მე ხორციელად ვერ აღვიქვამდი,
რომ არა ალბათ ცოდვილი ვეა.

და ამიტომაც მე მიყვარს შენში,
როცა სიშიშველით შენ იმოსები,
ჩემ პერანგს იცვამ ერთ ღილზე შეკრულს
ოთახში ფრთხილობ ფეხის თითებით.

მე შენს სულს ვხედავ, როცა იცლები
ამიტომ მიყვარს მე შენში ვნება,
დაღლილი მკლავზე რომ მესვენები
გონებით სადღაც გასეირნება.

ზემოდან ვხედავ ორთავე ჩვენგანს,
და თითქოს სხეულს სული უხდება,
და როგორც კორტზე მოქნულ ჩოგანს
ფიქრები წყვდიადს სადღაც მიჰყვება.

და ალბათ ლექსშიც იგრძნობა ვნება,
მე ხომ ამ ლექსით სულსაც ვაშიშველებ
და არამართო სხეულის ენა
სულში რომ მიშვებ მაშინ მაგიჟებ.

მინდა იცოდე, როდესაც ბაგე
ისევე ისე ველარ გაგვართობს,
სულში ჩაგხედავ, მანც დავტკბები,
შენი სურნელი ისევ დამათრობს.

ჩვენ გავიხსენოთ მერე ერთობით,
გრძნობა ერთმანეთს თუ როგორ ვანდეთ
და როცა ვნებით ვერ გავერთობით
მაშინ იმ ვნების ნაყოფით დავტკბეთ.

AdIOS AMIGO

ვითმენ ტკივილს რადგან ბოლოს შეგბა
ვიგრძნო,
ვმაღავ ღიმილს რადგან ბოლოს ვინარხარო,
ვკარგავ იმდენს რომ ახლისთვის ბრძოლა
შევძლო,
ვიძენ რადგან მერე ისევ, რომ დავხარჯო.

ვცილობ კაცში ქრისტეს მაღლი რომ
შევიცნო,
წაქცეულში ღირსეული დავინახო
შეიძლება ცოდვა წაშში ჩავიდინო
ბევრი არა, ქალები და ცოტა ღვინო.

ვცილობ უნიჭომ ნიჭიერად დავწერო,
ვხედავ ცოდვილმა ღმერთი ხშირად ვახსენო,
მე მიყვარს ღამე ლექსის წერით გავტეხო,
ჩემ თავს ათასი ხიფათი დავატეხო.

მინდა რომ ცხოვრების მტკვერი შევიგრძნო,
და როგორც დედის რძე ისევე შევიგრძო,
მინდა რომ ცხოვრება მე აქეთ მოვიგრძო
მისსავე თამაში რომ მარსით მოვიგო,

ჯიუტი ვარ, არ მინდა სხვისი გავიგო,
ჩემთან თუ არ უნდათ – AdIOS AMIGO
ჩემი სტილი არ არის კაცი ავიგლო,
მირჩეენია რომ შეიგნოს და დავინდო.

არ არსებობს მე რაცა ვარ ის ვუარყო,
და არც ვაპირებ ჩემში რამე შევცვალო,
მე შეიძლება მხოლოდ გარდავიცვალო,
მაგრამ მანამდე დროა ჯერ დავიცვალო.

რას შევცვლიდი დრო რომ უკან დავაბრუნოთ?!
შევეცდები ცუდი კარგზე გადავცვალო,
კიდევ უფრო მეტი, მეტი განვიცადო,
იქით მივიღე, არაეღს დავუცადო.

გულით მინდა ყველას კარგი რომ ვახარო,
ათ მცნებიდან ხუთი მანც გავახარო,
ვეძებ მიზეზს ქვეყნად ყველა შევიყვარო,
მე ესა ვარ, ნულარ მკითხავთ ვინა ხარო.

თემო აღიუჭილი